შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

2024, აპრილი

კვლევის დიზაინი

- კვლევის მეთოდოლოგია
- თემის აქტუალობა
- შერჩევა
- კვლევის მონაცემები
- დასკვნა

კვლევის მეთოდოლოგია

- **საკვლევი საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა
- **კვლევის მიზნები:** კურსდამთავრებულთა დასაქმების და მასთან დაკავშირებული ტენდენციების გამოვლენა
- **კვლევის მთავარი ამოცანები:**

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და არაპროფილური საქმიანობა);
- დაუსაქმებლობის შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- პროფესიულ საქმიანობაში კურსდამთავრებულების მიერ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციების გამოყენების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის მეთოდოლოგია

სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის კურსდამთავრებულები, რომელთაც სწავლა დაასრულეს კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე.

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი.

კვლევის ინსტრუმენტი: რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი

თემის აქტუალობა

* პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანია, განახორციელოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მქონე პირთა დასაქმებას. შესაბამისად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება და ადგილობრივ ბაზარზე არსებული საჭირო კომპეტენციების განვითარება.
* კურსდამთავრებულთა უკუკავშირი კოლეჯთან, პროფესიულ განათლებასთან, საგანმანათლებლო პროგრამასთან, მათი დასაქმების ტენდენციების გამოვლენა, კოლეჯს აძლევს საშუალებას მიზანმიმართულად და ეფექტურად განახორციელოს ცვლილებები და დანერგოს სიახლეები, რათა კოლეჯის კურსდამთავრებულები იყვნენ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები და შეძლონ მიღებული პროფესიით დასაქმება.

შერჩევა

კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა იმ კურსდამთავრებულთა ბაზიდან, რომელთაც სწავლა დასრულებული ჰქონდათ კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე.

შერჩევა მოხდა კოლეჯში მოქმედი თითოეული პროგრამიდან.

კვლევამ მოიცვა კოლეჯის კურსდამთავრებულთა 80%. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 170 კურსდამთავრებულმა.

კვლევის მონაცემები

- **კვლევაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯში 2021-2023 სასწავლო წელს 5 საგამანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა :**

  - საექთნო განათლება (49)
  - ფარმაცია (57)
  - აღმზრდელი (29)
  - ინფორმაციის ტექნოლოგიები (27)
  - საფინანსო სერვისები (8)

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულების ასაკობრივი მაჩვენებელი

- **კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულების ასაკობრივი მაჩვენებელი მოიცავდა 17-დან - 57 წლამდე.**
- 17-დან - 18 წლამდე კუსდამთავრებულების რაოდენობა არის 6 (4%) და ყველა მათგანი სწავლობდა ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამაზე.
- 19-25 წლამდე - 62 (36%) კურსდამთავრებულია და მათი გადანაწილება საგანმანათლებლო პროგრამებზე თითქმის თანაბარია, მოიცავს ხუთივე პროგრამას.
- 26-35 წლამდე სულ 53 (31%) კურსდამთავრებულია და ძირითადად მოიცავენ სამ პროგრამას - აღმზრდელს, ფარმაციას და საექთნო განათლებას.
- 36 წლიდან ზემოთ კოლეჯს ყავს 49 (29%) კურსდამთავრებული და ისინიც ძირითადად მოიცავენ სამ პროგრამას - აღმზრდელი, საექთნო განათლება და ფარმაცია.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულთა განაწილება სქესის მიხედვით:

* კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულთაგან 150 (88%) არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 20 (12%) მამრობითი.



კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* კვლევაში მონაწილე 170 კურსდამთავრებულიდან 98 დასაქმებული იყო კოლეჯში სწავლის პერიოდში, ხოლო მათგან 64 კურსდამთავრებული (65%) მუშაობდა პროფესიული პროგრამის პროფილის შესაბამისად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:

- სწავლის დასრულებიდან 12 თვეში სულ დასაქმებულია 114 (67%) კურსდამთავრებული. (აღმზრდელი - 23, ფარმაცია - 33, საექთნო განათლება - 39, ინფორმაციის ტექნოლოგია - 16, საფინანსო სერვისები - 3).
- სწავლის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან სწავლის პერიოდშივე დასაქმებული იყო 85 (75%) კურსდამთავრებული. (65%) პროფილურად, ხოლო (35%) არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* ფარმაციის პროგრამა - პროგრამის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, მათ შორის პროფილურად და არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* საექთნო განათლების პროგრამა - პროგრამის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, მათ შორის პროფილურად და არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა - პროგრამის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, მათ შორის პროფილურად და არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* აღმზრდელის პროგრამა პროგრამა - პროგრამის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, მათ შორის პროფილურად და არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

დასაქმების მაჩვენებელი:



* საფინანსო სერვისების პროგრამა - პროგრამის დასრულებიდან 12 თვეში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, მათ შორის პროფილურად და არაპროფილურად.

კვლევის მონაცემები

სამსახურის მოძიების საშუალებები:

- კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობამ, 67-მა კურსდამთავრებულმა (57%), სამსახური მოიძია დამოუკიდებლად, ნაწილ მათგანს 38 (32%) სამსახურის დაწყებაში დაეხმარნენ ნაცნობები და ახლობლები, ნაწილმა - 15 (13%) კურსდამთავრებულმა კი, მუშაობა დაიწყო იმ ორგანიზაციაში, სადაც სწავლის პრიოდში გადიოდნენ პრაქტიკას.

კვლევის მონაცემები

სწავლის პერიოდში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება:



- კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად გამოადგათ დასაქმებაში ის კომპეტენციები რომელიც პროფესიულ პროგრამებზე სწავლის პერიოდში აითვისეს.
- კურსდამთავრებულებების მიერ პროფესიულ სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციების შეფასება - აღმზრდელი

კვლევის მონაცემები

სწავლის პერიოდში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება:



- კურსდამთავრებულებების მიერ პროფესიულ სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციების შეფასება - ფარმაცია (სააფთიაქო)

კვლევის მონაცემები

სწავლის პერიოდში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება:



- კურსდამთავრებულებების მიერ პროფესიულ სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციების შეფასება - საქართველოს განათლება

კვლევის მონაცემები

სწავლის პერიოდში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება:



- კურსდამთავრებულებების მიერ პროფესიულ სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციების შეფასება

  ინფორმაციის ტექნოლოგია

კვლევის მონაცემები

სწავლის პერიოდში ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება:



- კურსდამთავრებულების მიერ პროფესიულ სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციების შეფასება - საფინანსო სერვისები

კვლევის მონაცემები

დაუსაქმებლობის ძირითადი მიზეზები:



- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულთაგან 53 (31%) პირი არის დაუსაქმებელი.

კვლევის მონაცემები

- დაუსაქმებელი 53 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 22 (42%) კურსდამთავრებული ეძებს სამუშაოს, (აღმზრდელი -2, ფარმაცია - 9, საექთნო განათლება - 5, ინფორმაციის ტექნოლოგია - 6,). ხოლო დანარჩენები სამუშაოს არძებნის მიზეზად უმეტეს შემთხევაში ასახელებენ შესაბამისი ოჯახური პირობების არ ქონას - 24 კურსდამთავრებული.
- კვლევაში მონაწილეთაგან 37 კურსდამთავრებულს (22%) აქვს სამუშაოს დატოვების ან შეცვლის გამოცდილება. ამის ძირითად მიზეზებად კი დაფიქსირდა ანაზღაურებასთან შეუსაბამო მოთხოვნა - 15 (41%), ოჯახური მდგომარეობა - 12 (32%) და არადამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობები - 11 (30)

კვლევის მონაცემები



კურსდამთავრებულთა სამუშაოს დატოვების ან შეცვლის მიზეზები:

კვლევის მონაცემები

პროფესიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო საქმიანობა:

<u>აღმზრდელი</u> 8 მათგანმა გაიარა პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა, 3 სწავლობს პროფესიული განათლების დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე, ხოლო ერთმა სწავლა გააგრძელა უმაღლესი განათლების დაწესებულებაში.

<u>ფარმაცია</u> 4-მა მათგანმა გაიარა პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა, 3 სწავლობს პროფესიულ სასწავლებელში, სხვა პროგრამაზე, ხოლო ერთმა სწავლა გააგრძელა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

<u>საექთნო განათლება</u> ერთმა მათგანმა გაიარა პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა, სამმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე, 3 სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კვლევის მონაცემები

პროფესიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო საქმიანობა:

<u>ინფორმაციის ტექნოლოგია</u> 6-მა მათგანმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე, ხოლო 1-მა სწავლა გააგრძელა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

<u>საფინანსო სერვისები</u> 2-მა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე

კვლევის მონაცემები

- გამოკითხულთაგან, 156 კურსდამთავრებული მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება ხელისშემწყობია დასაქმებისთვის, 12 თვლის, რომ ნაწილობრივ, ხოლო 2 მიიჩნევს, რომ არ არის.

- კურსდამთავრებულთა თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა - 98% (166 კურსდამთავრებული) მიუთითებს, რომ თავიდან ჩაბარების შემთხვევაში, კვლავ მარნეულის კოლეჯს აირჩევდნენ.

დასკვნა

- კვლევის მონაცემებიდან გამოვლინდა, რომ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე 170 კურსდამთავრებულიდან 114 მათგანი დასაქმებული იყო კოლეჯში სწავლის პერიოდში და სწავლის დასრულებიდან 12 თვის ვადაში, მათგან 68 კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფესიული პროგრამის პროფილის შესაბამისად.
- პროფილის შესაბამისად ძირითადად დასაქმებულები იყვნენ აღმზრდელისა და საექთნო განათლების პროგრამის კურსდამთავრებულები, ფარმაციის პროგრამის შემთხვევაში კი არაპროფილურად უფრო მეტი იყო დასაქმებული.
- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე კურსდამთავრებულებიდან თითქმის თანაბარი რაოდენობით იყვნენ პროფილურად და არაპროფილურად დასაქმებულები.
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 55-60% კომპეტენციებთან მიმართებით მიიჩნევს, რომ მეტწილად საკმარისი იყო კოლეჯში სწავლის დროს შეძენილი თითოეული კომპეტენცია .

დასკვნა

- კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობის ძირითად მიზეზებად სახელდება ვაკანტური ადგილების სიმცირე, შეუსაბამო ხელფასი, არადამაკმაყოფილებელი სამუშაო გრაფიკი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგლის სიშორე, ოჯახის წევრების უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტული სამუშაო ადგილის მიმართ.
- კვლევაში მონაწილე კურსდამთავრებულთა თითქმის 92% თვლის, რომ პროფესიული განათლება ხელისშემწყობია დასაქმებისთვის და 98% თავიდან ჩაბარების შემთხვევაში კვლავ მარნეულის კოლეჯს აირჩევდა.